ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო საჯარო სკოლა, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრ(ებ)ი:

თამარ სურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237102194

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი თხინვალი
საფოსტო ინდექსი	3500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tkhinvali@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 0 26 0000332018, 19.03.2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის MES 0 26 0000332018 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის გეგმიური მონიტორინგი, დოკუმეტების შესწავლით. სკოლის მიერ გადმოგზავნილი იქნა მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი კომპონენტების მიმართებით სათანადო მტკიცებულებები, ამასთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი და სკოლის მიერ მოწოდებული იქნა დამატებითი დოკუმენტები.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა" ქვეპუნქტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

მონიტორინგის ფარგლებში, შემოწმდა წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი, შემოწმების შედეგები ასახული იქნა წინამდებარე დოკუმენტში.

აღსანიშნავია, რომ სკოლას წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება სრულად არ განუხორციელებია, რაც მიუთითებს რეკომენდაციების შესრულების პროცესში არასაკმარის დაგეგმვასა და მონიტორინგზე. აღნიშნული გარემოება საჭიროებს სკოლის მხრიდან უფრო ეფექტიანი მართვის მექანიზმების დანერგვას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ სისტემურად მიუდგეს რეკომენდაციების შესრულების პროცესს და უზრუნველყოს მათი ინტეგრირება სკოლის სამოქმედო გეგმასა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
150	70

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ 2026 წლის 24 აპრილის MES 5 26 0000479084 წერილით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები, კერძოდ:

- განახლებული ერთწლიანი (2025-2026 წ) სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვის თაობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ერთწლიანი (2025-2026 წ) სამოქმედო გეგმა, კვლავ არ შეესაბამება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, შესაბამისად მასში სრულყოფილად ასახული არ არის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გამო, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიცია არ იქნა გაზიარებული

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ), არ ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული, ზოგიერთი სტარეგიული მიზნის შესრულების აქტივობები (მაგალითად: არაფორმალური განათლების გაძლიერება - სტრატეგიული მიზანი N4, ციფრული ტრანფორმაცია - სტრატეგიული მიზანი N5) .*
ინდიკატორი N 1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წწ) სრულყოფილად არ არის ასახული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები.*
ინდიკატორი N 1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა*	*სკოლის მიერ მეთოდოლოგიით დადგენილი წესით არ არის განხორციელებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება.* *(იხ.ინდიკატორის აღწერა)*

	დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	
ინდიკატორი N 1.2.2.3.	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა*	*სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის და 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არ არის საჯარო, კერძოდ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები არ არის გამოქვეყნებული სკოლის ვებგვერდზე.*
ინდიკატორი N 1.2.2.4	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის*	*სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით დადგენილი წესით არ არის განხორციელებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შეფასება, რის გამოც ვერ ფასდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს მისიას ისე, რომ იგი მკაფიოდ ასახავდეს სკოლის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, ღირებულებებსა და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს. მისიის ფორმულირება სასურველია ეფუძნებოდეს სკოლის კონტექტს, რაც ხელს შეუწყობს სკოლის იდენტობის გაძლიერებას.*
ინდიკატორი N 1.1.1.3.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების პროცესებში ჩართულობის კონკრეტული მექანიზმი. საკუთარი გამოცდილების, არსებული გამოწვევების და რესურსების გათვალისწინებით განსაზღვროს ჩართულობის ფორმები და ხარისხი. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა არის ის, რომ პროცესები მიმდინარეობდეს გუნდური ძალისხმევით, თანამშორმლობითა და გააზრებული და გაზიარებული პასუხისმგებლობით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
N1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში: 27.11.2023 სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა*	*შესრულებულია*
N1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში : 8.12.2023 სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით.*	*არ არის შესრულებული*
ინდიკატორი N 1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში : 8.12.2023 სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, სადაც რეალისტურად ასახული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები,*	*არ არის შესრულებული*

		შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური). რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის (შემდგომში- სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა ,,თანამედროვე, შემოქმედებითი, უსაფრთხო, დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და ზოგადსაკაცობრიო იდეების მატარებელი, ცხოვრებისთვის მომზადებული, ცოდნით, სასიცოცხლო უნარჩვევებით აღჭურვილი ტოლერანტი, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდა.“
სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, კერძოდ სკოლის ხედვაა ,,მომავალი თაობისათვის ხარისხიანი განათლების მიცემა ,რაც 2030 წლისათვის სკოლას დაუმკვიდრებს ადგილს საქართველოს საუკეთესო სკოლებს შორის.“
სკოლის მიერ შემუშავებული მისია არის შაბლონური და აკლია ინდივიდუალიზმი.
სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს მისიას ისე, რომ იგი მკაფიოდ ასახავდეს სკოლის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, ღირებულებებსა და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს. მისიის ფორმულირება სასურველია ეფუძნებოდეს სკოლის კონტექტს, რაც ხელს შეუწყობს სკოლის იდენტობის გაძლიერებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიით და ხედვით ხაზს უსვამს მოსწავლეთა უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების აუცილებლობას, რაც გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს.
სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილია, თუ რა გზით მოხდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კერძოდ აღნიშნულია რომ ,,7 (შვიდ) წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა როგორც წინარე გამოცდილება, ისე ახალი გამოწვევები. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი იყო სკოლის დირექტორის, რომელიც უზრუნველყოფდა სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზით საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს.”
სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების პროცესებში ჩართულობის კონკრეტული მექანიზმი. საკუთარი გამოცდილების, არსებული გამოწვევების და რესურსების გათვალისწინებით განსაზღვროს ჩართულობის ფორმები და ხარისხი. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა არის ის, რომ პროცესები მიმდინარეობდეს გუნდური ძალისხმევით, თანამშორმლობითა და გააზრებული და გაზიარებული პასუხისმგებლობით. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში, აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია თუ რა ფორმით მოხდა სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის.
მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწყვდომობას. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება შემდეგ მიდგომებს:
გუნდური მუშაობა - სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას, პროცესში ჩართული / დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

თანამონაწილეობა - სტრატეგიული დაგეგმვა განიხილება როგორც თანამონაწილეობითი პროცესი, სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით;
გამჭვირვალობა - სტრატეგიული დაგეგმვისას და შეფასებისას ორგანიზაცია იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში.
სამართლიანობა - ნებისმიერი გადაწყვეტილება ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს.
მიზანშეწონილობა - ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად, ღრმა ანალიზის საფუძველზე. არსებული ალტერნატივებიდან ხდება ფინანსური თუ სხვა რაციონალური ნიშნით ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღება.
სოციალური პასუხიმგებლობა - სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებები. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, (2023 - 2030 წწ) რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ.
სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.
სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინფორმაციას გარემო ფაქტორების შესწავლისა და SWOT (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზის შესახებ. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ), რომელიც არ ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული, ზოგიერთი სტარეგიული მიზნის შესრულების აქტივობები (მაგალითად: არაფორმალური განათლების გაძლიერება - სტრატეგიული მიზანი N4, ციფრული ტრანფორმაცია - სტრატეგიული მიზანი N5) .

სტანდარტის იდიკატორით დადგენილი მოთხოვნა გულისხმობს, რომ სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ერთი მხრივ უნდა ამოვიდეს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ხოლო მეორე მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს, რადგან თვითშეფასება ძალიან კარგად ავლენს იმ გამოწვევებს, რომლებიც მიმდინარე პერიოდში დგას სკოლის წინაშე. სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წწ) არ იკითხება თუ როგორ ხდება თვითშეფასების დროს იდენტიფიცირებული გამოწვევების გადაჭრა.

სკოლამ 2026 წლის 24 აპრილის MES 5 26 0000479084 წერილით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები, კერძოდ განახლებული ერთწილიანი (2025-2026 წ) სამოქმედო გეგმა, რომელიც კვლავ არ შეესაბამება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას

ინდიკატორის მოითხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლამ 2026 წლის 24 აპრილის MES 5 26 0000479084 წერილით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები, კერძოდ განახლებული ერთწილიანი (2025-2026 წ) სამოქმედო გეგმა.

განახლებულ სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად არ არის ასახული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორის მოითხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026) ;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-5 თავი რომლის თანახმადაც სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში მინიმუმ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-5 თავის თანახმად:

ა) სკოლა დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში მინიმუმ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.

ბ) სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე.

გ) სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ცხრილი სახით და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების განხვილის თაობაზე შედგენილი სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N10. (ოქმის შედგენის თარიღი დაუზუსტებელია)

არ არის წარმოდგენილი:

ა) სამოქმედო გეგმის მონიტორინგის/შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;

ბ) 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) სტრატეგიული გეგმის (7 წლიანი) მონიტორინგის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. მაგ: სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, პასუხისმგებელი პირების მიერ გაკეთებული ანგარიშები.

მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გამო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ კმაყოფილდება მტკიცებულების სტანდარტისთვის დადგენილი საკმარისობის პრინციპი.

საკმარისობის პრინციპი დაცულია, თუ მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა ცალსახად ადასტურებს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ფაქტს. ამ მიზნით მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს თუ რა არის შეფასების საგანი: არის ეს დოკუმენტი თუ პროცესი.

ცალსახაა, რომ მოცემულ შემთხვევაში ვაფასებთ პროცსს, თუ რამდენად სწორად განახორციელა სკოლამ თავისივე დამტკიცებული მეთოდოლოოგით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი. ამიტომ აქ

მნიშვნელოვანია არსებობდეს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასების ფაქტს.
აღსანიშნავია, რომ მოთხოვნა, რასაც სტანდარტის ინდიკატორი უყენებს სკოლას არის ის, რომ სკოლამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.
მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო, ექსპერტთა ჯგუფის მიიჩნევს, რომ სკოლის მიერ სტანდარტის ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნა დარღვეულია, კერძოდ მეთოდოლოგიით დადგენილი წესით არ არის განხორციელებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის და 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არ არის საჯარო, კერძოდ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები არ არის გამოქვეყნებული სკოლის ვებგვერდზე. გამოქვეყნებულია მხოლოდ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. **ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

როგორც ზემოთ აღინიშნა მეთოდოლოგიით დადგენილი წესით არ არის გაკეთებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შეფასება, რის გამოც ვერ ფასდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანია სკოლამ განახორციელოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ანალიზი, გამოკვეთოს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, განისაზღვროს პრიორიტეტები და მიღებული შედეგები სათანადოდ აისახოს განახლებულ სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის ვებგვედრი (skolebi.emis.ge);
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

თარიღი: 27.04.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: